

შედეგი

საქართველოს საბაჟოზე ფიტო, ვეტერინარულ სანიტარული ევროპული სტანდარტების და კონტროლის მექანიზმების დანერგვა, ასევე საბაჟო გამშვები პუნქტების შესაბამისი ინფრასტრუქტურით აღჭურვა ხელს შეუწყობს ერთის მხრივ საქართველოს შიდა ბაზრის დაცვას არაჯანსაღი პროდუქტების იმპორტისაგან. მეორეს მხრივ, შეიქმნება პრევენციის მექანიზმი, რომ ქვეყნიდან არ გავიდეს შეუმოწმებელი და უხარისხო პროდუქცია, როგორც ევროკავშირის, ასევე სხვა სავაჭრო პარტნიორი ქვეყნების ბაზრებზე.



ევროკავშირსა და საქართველოს შორის გაფორმებული ასოცირების შეთანხმებით გათვალისწინებული ფიტო, ვეტერინარული და სანიტარული სასაზღვრო კონტროლი

ბონდო ბოლქვაძე

ექსპერტი საბაჟო და ვაჭრობის ხელშეწყობის საკითხებში

ბროშურა მომზადებულია ევროკავშირი—საქართველოს ბიზნესსაბჭოს (EUGBC) მიერ ევროკავშირის მხარდაჭერით.



პროექტი დაფინანსებულია ევროკავშირის მიერ

პუბლიკაციის შინაარსზე პასუხისმგებელია ევროკავშირი—საქართველოს ბიზნესსაბჭო და მასში გამოთქმული მოსაზრებები არ უნდა იქნეს მიჩნეული ევროკავშირის პოზიციად.

ევროკავშირი—საქართველოს ბიზნესსაბჭო
ბანდუკელის ქ. 3, თბილისი 0108 საქართველო
Tel: (+995 32) 2.24.21.14 / 15 / 16
info@eugbc.net / www.eugbc.net

ზოგადი მიმოხილვა:

ევროკავშირსა და საქართველოს შორის გაფორმებული ასოცირების შეთანხმების უმნიშვნელოვანესი ნაწილია ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის სივრცის შესახებ შეთანხმება (DCFTA), რომელიც მოიცავს ევროკავშირთან ეკონომიკური ინტეგრაციის მექანიზმს და საქართველოსთვის ხსნის ევროკავშირის შიდა ბაზარს.

DCFTA მოიცავს ვაჭრობასთან დაკავშირებული საკითხების ფართო სპექტრს, მათ შორის საბაჟო პროცედურებს და სურსათის უვნებლობის სასაზღვრო პროცედურებს. საქონლის ექსპორტ-იმპორტის შემთხვევაში ფიტო, ვეტერინარული და სანიტარულ ჰიგიენური სასაზღვრო კონტროლის განმარტებული ორგანოა შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეპარტამენტი.

ინფრასტრუქტურის განვითარება

2015 წელს შემოსავლების სამსახურმა უნდა უზრუნველყოს საბაჟო გამშვებ პუნქტებზე (სარფი, ფოთისა და ყულევის პორტები, ფოთის თავისუფალი ინდუსტრიული ზონა და კარწახი) სათანადო შენობა-ნაგებობების მოზადება (სასურსათო, ვეტერინარული და ფიტოსანიტარული), და ამ პუნქტების სათანადოდ აღჭურვა. საქართველო-აზერბაიჯანის საზღვარზე მიმდინარეობს “წითელი ხიდის” საბაჟო ინფრასტრუქტურის განვითარება, რომლის ფარგლებშიც უკვე დაწყებულია სამუშაოები ფიტოსანიტარული, ვეტერინარული, სურსათის უვნებლობის კონტროლის განხორციელებისათვის სათანადო პირობების შესაქმნელად. ანალოგიური სამუშაოები იქნება ჩასატარებელი სხვა საბაჟო გამშვებ პუნქტებზე.

ინფრასტრუქტურის განვითარების ფარგლებში უმნიშვნელოვანესი ამოცანაა სპეციალური ლაბორატორიის მოწყობა, რომელიც ოპერატიულად მოემსახურება საბაჟოზე გადაადგილებული საქონლის შემოწმებას. დღეს არსებული მდგომარეობით საბაჟო სამსახურს უწევს სხვა უწყებებთან თანამშრომლობა ლაბორატორიული ექსპერტიზის განსახორციელებლად, რაც მნიშვნელოვან პროცედურულ შეფერხებებს იწვევს.

კადრების მომზადება

ფიტო, ვეტერინარულ სანიტარული პროფილის მებაჟე ოფიცრების კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით 2015 წელს იგეგმება კადრების გადამზადება, როგორც თეორიული სწავლება, ასევე oracle-ის განახლებულ ბაზებთან მუშაობა. ტრენინგები მოიცავს შემდეგ თემატიკას: ვეტერინარული და ფიტოსანიტარული შემოწმება საზღვრებზე, ნიმუშების აღება, წინასწარი შეტყობინების სისტემა, სწრაფი შეტყობინების სისტემაში მუშაობა (RASFF), ელექტრონული სისტემების გამოყენება, TRACES სისტემასთან გაცნობა.

ამასთან, საბაჟო გამშვები პუნქტის „კარწახის“ გახსნასთან დაკავშირებით, საბაჟო დეპარტამენტის სანიტარული, ფიტოსანიტარული და ვეტერინარული კონტროლის სამმართველოში სტაჟირებაზე დაინიშნა 6 ოფიცერი (3 ვეტერინარი, 3 ფიტოსანიტარი), რომლებიც სტაჟირებას გაივლიან 3 ეტაპად: პირველ ეტაპზე გადანაწილებული იქნებიან საბაჟო გამშვებ პუნქტებზე (სისტემის გაცნობის მიზნით); შემდეგ ეტაპზე გაივლიან თეორიულ კურსს; მესამე ეტაპზე გაივლიან პრაქტიკას საბაჟო გამშვებ პუნქტებზე.

საკანონმდებლო და პროცედურული ჰარმონიზაცია

მიმდინარეობს სამუშაო ჯგუფის შეხვედრები საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს, სურსათის ეროვნული სააგენტოს, პრემიერ მინისტრის აპარატის, ჯანდაცვის სამინისტროს, გარემოს დაცვის სამინისტროსა და შემოსავლების სამსახურს შორის. შეხვედრის მიზანია სანიტარული და ფიტოსანიტარული კანონმდებლობის მიახლოება ევროკავშირის კანონმდებლობასთან. აღნიშნული მოიცავს დაახლოებით 420 დოკუმენტს, რომლის ევროკავშირთან დაახლოება უნდა განხორციელდეს 2015 - 2025 წლებში მათ შორის ზოგიერთი საქონლის იმპორტ-ექსპორტის სფეროს არეგულირებს.

ევროკავშირის ექსპერტების რეკომენდაციების საფუძველზე შემოსავლების სამსახური სურსათის უვნებლობის სააგენტოსთან ერთად მუშაობს სანიტარული და ფიტოსანიტარული სასაზღვრო ღონისძიებების შესახებ დადგენილების ახალ პროექტზე. (არსებული მთავრობის №429 დადგენილების ახალი ვერსია).

პარალელურად მიმდინარეობს სტანდარტული საოპერაციო პროცედურების სახელმძღვანელოს შემუშავება. ასევე მიმდინარეობს მუშაობა საკანონმდებლო ცვლილებებზე, რომელიც ითვალისწინებს არაცხოველური წარმოშობის პროდუქტების შემოწმებას, ევროკომისიის 882/2004 რეგულაციის მე-15 მუხლის მიხედვით.